



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი



Legal Entity Public Law
SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY
აკადემიური საბჭო ACADEMIC COUNCIL

ოქმი № 5 " 8 " 05 2019 წ.

დადგენილება № 16

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის შესარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა, 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტისა და მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის, წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 11 დეკემბრის N92 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის -სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო დებულება“ -ის მე-13 მუხლის პირველი, მე-2, მე-4 პუნქტების, აკადემიური საბჭოს 2013 წლის 2 ოქტომბრის N51 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად აკადემიური საბჭო ადგენს:

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის შესარჩევად.
2. უცვლელად დარჩეს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 16 აპრილის N4 დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილე კანდიდატის კრიტერიუმები და საკონკურსო პირობები“.
3. კონკურსი მონაწილე კანდიდატთა განცხადებების რეგისტრაცია განხორციელდეს 2019 წლის 10 მაისიდან 30 მაისის ჩათვლით.
4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. დადგენილება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ჩაბარდეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას და უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას.
8. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მებაღიშვილის ქ. N62.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
 რექტორი, ასოცირებული პროფესორი

(Handwritten signature)

მაკა ბერიძე


დამტკიცებულია

სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს დადგენილებით №19

16 აპრილი 2015 წ. ოქმი №4

რექტორი, პროფესორი:

 მ. ბერიძე

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილე
კანდიდატის კრიტერიუმები და საკონკურსო პირობები

1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილე კანდიდატი
უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) ფლობდეს სამეცნიერო ხარისხს;

ბ) გააჩნდეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილება;

გ) გააჩნდეს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში მუშაობის
გამოცდილება.

2. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში
მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) პირადობის მოწმობა;

ბ) სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი (ნოტარიულად დამოწმებული
ასლი);

გ) CV ;

დ) სამოტივაციო წერილი.